პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 9 ივნისი, 1944 წ. № 116 (7060). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

**სანიმუშოდ მოვუაროთ შაქრის ჭარხლის ნათესებს!** მეთაური (1-ლი გვერდი).

**ამხანაგ სტალინის პასუხი საქართველოს კოლმეურნეებს** (1-ლი გვერდი).

**საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან.** 8 ივნისის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

**ნამდვილი ნაციონალური, მძლავრი პოლონელთა არმია** (1-ლი გვერდი).

**გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება.** „პრავდის“ 8 ივნისის მოწინავე (მე-2 გვერდი).

**ე. პოლუმორდვინოვი.** ქერჩიდან სევასტოპოლამდე (მე-3 გვერდი).

**პარტიული ცხოვრება. გ. ლუარსაბოვი.** საველტაციო-საოპერაციო მუშაობის გაუმჯობესებისათვის (მე-2 გვერდი).

**დაიწყო მოსავლის აღება.** პირველი განალეული ბარი — სახელმწიფოს (მე-2 გვერდი).

**საერთაშორისო ცხოვრებიდან** (მე-4 გვერდი).

**უცხოეთის ამბები.** მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები. გენერალ ეიზენჰაუერის განცხადება ოპერაციების მსვლელობის შესახებ ჩრდილოეთ საფრანგეთში. გერმანიის ხაზის გარღვევა ბაიეს რაიონში. ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში. ჩერჩილი და დე გოლი ეიზენჰაუერის ბანაკში. თურქების მიერ შავი ზღვიდან ეგეოსის ზღვისაკენ გერმანიის გემების გატარების შესახები ცნობის გამო (1-ლი და მე-4 გვერდი).

## სანიმუშოდ მოვუაროთ შაქრის ჭარხლის ნათესებს!

შაქრის ჭარხლის მოსავალს კარგი პირი უჩანს. ეს იმით აიხსნება, რომ თესვა წელს უფრო ორგანიზებულად ჩატარდა, ვიდრე შარშან. მაგრამ თესვა უხვი მოსავლის მოყვანის დასაწყისია. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება შაქრის ჭარხლის ნათესების თავის დროზე და მაღალხარისხოვნად დამუშავებას.

კარგა ხანია საქართველოს მეჭარხლეობის რაიონებში შეუდგენენ ნათესების დამუშავებას. მოწინავე კოლმეურნეები და კოლმეურნეობები საქმით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. მარტში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შემდგარ თათბირზე ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე, კასპის რაიონის სოფელ იგოეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ჩადუნელმა იკისრა ერთ ჰექტარ ნაკვეთზე, რომელსაც თვითონ მოუვლის, მოიყვანოს 1.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო 19 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე 300 ცენტნერი. ამავე რაიონის სოფელ ლამისყანის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელმა ამხ. ბეგიაშვილმა იკისრა ჰექტარზე საშუალოდ 1.200 ცენტნერი ჭარხლის მოყვანა. მოწინავე მეჭარხლეთა მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა, ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის. სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები საუკეთესოდ უვლიან ჭარხლის ნათესებს. მათ ნიადაგი გაანოყიერეს, თავის დროზე დაამთავრეს შაქრის ჭარხლის პირველი მსუბუქი გაფხვიერება, გამოხშირვა და მაღალხარისხოვნად ატარებენ შემოწმებას. კარგად უვლიან შაქრის ჭარხლის ნათესებს გორის რაიონის სოფელ ზერტის, ბერშუეთის, ქვეშის კოლმეურნეობები. მსგავსი მაგალითები ბევრია.

მეჭარხლეობის რაიონების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ლირსების საქმეა კიდევ უფრო გაამტკიცონ მიღწეული წარმატებანი და, რაც მთავარია, **შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავება თავის დროზე და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ.** სამუშაოთა ვადებმა და ხარისხის მტკიცედ დაცვა სწყვეტს ჭარხლის უხვი მოსავლის მიღების საკითხს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ყველგან როდი აქვთ შეგნებული ეს ელემენტარული ჭეშმარიტება. ზოგან შეუწყნარებლად აჭიანურებენ ჭარხლის ნათესების დამუშავებას და მნიშვნელოვან სამუშაოებს — პირველ მსუბუქ გაფხვიერებას, გამოხშირვას, შემოწმებას დადგენილ ვადებში არ ატარებენ. გორის, ქარელის, ბორჩალოს რაიონებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში არიან ისეთი კოლმეურნეობანი, რომელთაც 1 ივნისისათვის დამთავრებული არ ჰქონდათ მსუბუქი გაფხვიერება. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჭარხლის ნათესების გამოხშირვა. ამავე რიცხვისათვის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში 400 ჰექტარიდან გამოხშირვა ჩატარებული იყო მხოლოდ 88 ჰექტარზე, კასპის რაიონში გამოხშირვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 40,7 პროცენტით, ხაშურის რაიონში — 45,8 პროცენტით. ნელი ტემპებით მიმდინარეობს ეს სამუშაო ქარელისა და გორის რაიონებში. ამით კი ბრკოლდება შემდგომი სამუშაოების ჩატარება, როგორიც არის გაფხვიერება და შემოწმება. საჭიროა დავაჩქაროთ ეს სამუშაოები და მეტი ყურადღება მივაქციოთ ნათესების დამუშავების ხარისხს.

გორის რაიონის სოფელ კვარხითის კოლმეურნეობის ჭარხალს მავნებელი ხვატარი გაუჩნდა და ჭარხლის ნათესი ნაწილობრივ დაზიანა. მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნარიკაშვილმა და აგრონომმა კეჩხუაშვილმა ამას ყურადღება არ მიაქციეს. ჭარხლის მავნებლებმა თავი იჩინეს აგრეთვე სხვა რაიონებშიც. მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჭარხლისათვის. ყველა მექანიკური საშუალება და ქიმიკატები უნდა გამოვიყენოთ მავნებლების მოსასპობად. მიზანშეწონილია აგრეთვე ვაწარმოოთ მათი ხელით შეგროვება.

გამოხშირვისა და შემოწმების მაღალხარისხოვნად დამთავრებას ჭარხლის მცენარისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ახლა ამოცანა ის არის, რომ არ დავაგვიანოთ ეს სამუშაო, რადგან დაგვიანება მოსავლიანობას შეამცირებს.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცენარეთა სიხშირის დაცვას. **ძირთა სიხშირისათვის ბრძოლა უნდა სწარმოებდეს ჭარხლის მოვლის მთელ პერიოდში — პირველი გაფხვიერებით დაწყებული და მწკრივთა შორის გაფხვიერებით დამთავრებული.** უხვი მოსავლის მოყვანის ფრიად მნიშვნელოვანი პირობაა ის, რომ უზრუნველყოთ თვითეულ ჰექტარზე 100-110 ათასი ძირი ჭარხლის შენარჩუნება.

გასულ წლებში მოწინავე მეჭარხლეებმა უხვი მოსავალი მოიყვანეს. მათ ფართოდ დანერგეს დამატებითი კვება. მაშასადამე, საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ მცენარეთა დამატებითს კვებას, წესიერად მოვაწყოთ იგი, მინერალურ სასუქებთან ერთად მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი სასუქები (გადამწვარი ნაკელი, ნაცარი, ქათმის ნაკელი, ნაკელის წვენი).

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ზაფხულში ჭარხლის ნათესების დროულად მორწყვას. კოლმეურნეობებმა სრულ წესრიგში უნდა მოიყვანონ სარწყავი არხები და დანერგონ ღამით მორწყვა, რადგან ეს საუკეთესო შედეგს იძლევა.

შაქრის ჭარხალი და, კერძოდ, მისი დამუშავება დიდ შრომას მოითხოვს. აქედან გამომდინარეობს ამოცანა, რომ ჭარხლის ნათესებში შრომა დაძაბული და ნაყოფიერი იყოს. ახლა ჭარხლის მინდვრებში ყოველი საათი ძვირფასია და, თუ დრო დავკარგეთ, მოსავალსაც დავკარგავთ. ეს მოითხოვს აგრეთვე სამუშაო ძალთა სწორად განაწილებას, რადგან ჭარხლის ნათესების დამუშავება დროის მიხედვით ემთხვევა სხვა კულტურების დამუშავებას, მოსავლის აღებისათვის მზადებას, საანეულო ხვნას. ეს გვიკარნახებს სწორად მოვაწყოთ შრომა საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში და ამით მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ თვითეული სამუშაო დღე, მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კოლმეურნე გადამეტებით ასრულებდეს სამუშაო ნორმას.

წელს მნიშვნელოვნად გადიდებულია შაქრის ჭარხლის ძირითადი დამზადების ფასები. მეჭარხლეებს გაცილებით მეტი შაქარი ეძლევათ სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერ ჭარხალზე, გამოყოფილია სამრეწველო საქონელი იმ კოლმეურნეებისათვის მისასყიდად, რომლებიც შაქრის ჭარხლის ნათესებში მუშაობენ. ეს მძლავრ პირობას ჰქმნის ჭარხლის მოსავლიანობის გასადიდებლად. საჭიროა საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა და ცეკავშირმა დააჩქარონ მეჭარხლეობის რაიონებში სამრეწველო საქონლის შეზიდვა.

საუკეთესოდ მოვუაროთ ჭარხლის ნათესებს, წელს არ უნდა იყოს არც ერთი ისეთი კოლმეურნეობა, რომ დასარეკლიანებული ჰქონდეს ნათესები. დავიცვათ ჭარხალი სოფლის მეურნეობის მავნებლებისაგან.

საქმით შევასრულოთ დიდი **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებანი, მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მეტი შაქარი — ასეთია მეჭარხლეობის რაიონის ღირსების საქმე.

## გვარდიის გენერალ-მაიორ მ. გ. მიქელაძის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გვარდიის გენერალ-მაიორი **მიხეილ გერასიმეს-ძე მიქელაძე** დაჯილდოებულია **ბოგდან ხმელნიცკის** II ხარისხის ორდენით.

## ღამით ფრენის ოსტატი

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გაზეთი „სტალინსკი სოკოლი“ სწერს მფრინავ უფროს ლეიტენანტ მაღრაძის საგმირო საქმეზე. მაღრაძე ღამით გაფრინდა დავალების შესასრულებლად. ბრძოლაში იგი დაიჭრა, ხოლო მისი თვითმფრინავი დაზიანდა. მაგრამ მაღრაძემ დასძლია ტკივილი და მშვიდობიანად დაბრუნდა თავის აეროდრომზე. ჭრილობა რომ შეუხვიეს, მაღრაძემ განაცხადა, რომ კვლავ წავა საბრძოლო დავალების შესასრულებლად. ტექნიკოსებმა და მექანიკოსებმა სწრაფად აღადგინეს მანქანა და შეაკეთეს თვითმფრინავი. იმ ღამით უფროსმა ლეიტენანტმა მაღრაძემ კიდევ ორი გაფრენა მოახდინა, რომელთა დროს ანადგურებდა მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 8 ივნისის ოპერატიული ცნობა

8 ივნისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

7 ივნისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 15 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 22 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ იასის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით ჩვენი ქვეგანაყოფები ბრძოლებს ეწეოდნენ თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად. 6 ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს ერთი მაღლობი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გერმანელთა ცდას — აღედგინათ მდგომარეობა, წარმატება არ ჰქონია. მოსპობილია 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და მოწინააღმდეგის რამდენიმე ტანკი. ტყვედ წამოყვანილია 150 ჰიტლერელი.

* * *

ქალაქ ტირასპოლის სამხრეთით ჩვენი მზვერავები სწრაფად შეიჭრნენ მოწინააღმდეგის სანგრებში და დაიკავეს ისინი. ამ პოზიციებისათვის ბრძოლაში გაელეტნელია ერთ ასეულამდე გერმანელთა ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე მტრის 40-მა მზვერავმა გადმოლახა მდინარე დნესტრი. 6 ნაწილის მებრძოლებმა ჰიტლერელები ახლო მანძილზე მოუშვეს, ხოლო შემდეგ ტყვიამფრქვევის და ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს. 38 ჰიტლერელი მოკლულია. 2 გერმანელი ტყვედ არის წამოყვანილი.

* * *

ქალაქ ვიტებსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით სწარმოებდა კონტიკუნტი საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა. ჩვენმა არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 4 ქვემეხი და 7 ტყვიამფრქვევის წერტი. 6 ნაწილის რვა სნაიპერმა ამ უკანასკნელ დღეებში 57 ჰიტლერელი გაჟლიტა. სნაიპერმა თეოდორე ისაევმა 12 გერმანელი მოსპო. სნაიპერმა ივანე ბაჩუგინმა — 9, სნაიპერმა პეტრე ჩაგინმა მოწინააღმდეგის 7 ჯარისკაცი მოჰკლა.

ჩვენმა მოიერიშეებმა — „მონადირეებმა“ რკინიგზის ერთ-ერთ სადგურზე დასწვეს გერმანელთა ეშელონი საწვავიანად.

* * *

ჩრდილოეთით 6 ქვეგანაყოფმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტზე. თავდასხმის მოულოდნელობით თავგზააბნეულმა გერმანელებმა ვერ შესძლეს სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. მებრძოლებმა ლეიტენანტ კალისტრატოვის მეთაურობით მოსპეს რამდენიმე ათეული ჰიტლერელი, წამოიყვანეს ტყვეები და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ განლაგებაში.

* * *

ვიტებსკის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში დამით გაელიტა 20 ჰიტლერელი და მოსპო 27 ავტომანქანა. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით დაზიანებულ იქნა გერმანელთა ბომბდამშენი „იუნკერს-87“. თვითმფრინავი იძულებით დაეშვა. პარტიზანებმა დასწვეს მტრის ბომბდამშენი, წინასწარ მოხსნეს მას ტყვიამფრქვევები და რადიოსადგური. ვოლეიკელ პარტიზანთა რაზმმა ჩასაფრება მოაწყო იმ გზასთან, რომლითაც გერმანელთა ასეული მიდიოდა. საბჭოთა პატრიოტებმა წინ გაუშვეს მტრის დაზვერვა, ხოლო შემდეგ ძლიერი თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს. მოკლული და დაჭრილია 40 გერმანელი ჯარისკაცი.

* * *

მოწინააღმდეგის ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც ტყვედ არიან წამოყვანილი ქალაქ იასის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე რაიონიდან, იუწყებიან, რომ გერმანელთა და რუმინელთა ჯარებს უკანასკნელ ბრძოლებში უაღრესად მძიმე ზარალი მოუვიდათ. „სს“-ელთა სატანკო დივიზიის „დიდი გერმანიის“ მე-2 მოტოპოლკის მე-10 ასეულის ტყვე მეთაურმა ლეიტენანტ ჰანს ევიდმა განაცხადა: „გერმანელთა სარდლობამ თავი მოუყარა მცირე უბანზე დიდ ძალებს. სატანკო და ქვეითი ჯარის შუაერთების წინაშე დასმულ იქნა ასეთი ამოცანა: მოულოდნელი, სწრაფი დარტყმით გაერღვიათ რუსების თავდაცვის ხაზი, შემდეგ კი უკუუგდოთ ისინი მდინარე პრუტს გაღმა. ჩვენ ორგანიზებულ და შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდით. განსაკუთრებით ძლიერი აღმოჩნდა რუსების ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა. უკვე პირველ დღეებში ნათელი გახდა, რომ იასის რაიონში დაწყებული შეტევა მარცხით დამთავრდებოდა, ერთობ ძვირად დაგვიჯდა ცდა — გაგვერღვია რუსების თავდაცვა. „სს“-ელთა სატანკო დივიზიამ „დიდმა გერმანიამ“ თავისი ტანკების თითქმის ნახევარი დაკარგა. დიდი ზარალი მოუვიდა ქვეითს ჯარს. მაგალითად, მე-11 დივიზიის მე-3 პოლკის მეორე ბატალიონი მთლიანად მოსპობილია. მას თავს დაატყდა რუსების არტილერიის ცეცხლი. დაიღუპა 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. რუმინელთა მე-3 ქვეითი დივიზიის მე-4 ქვეითმა პოლკმა ერთი დღის განმავლობაში თავისი პირადი შემადგენლობის სამი მეოთხედი დაკარგა“.

## უკანასკნელი ცნობები

### გენერალ ეიზენჰაუერის განცხადება ოპერაციების მსვლელობის შესახებ ჩრდილოეთ საფრანგეთში

**ლონდონი,** 8 ივნისი (საკადესი). რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების ს

# პარტიული ცხოვრება

## საორგანიზაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაუმჯობესებისათვის

**საქართველოს კ. პ. (ბ)** თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიონის პარტიული ორგანიზაციები ბოლშევიკურად იბრძვიან დიდი სტალინის მითითებათა განხორციელებისათვის. რაიონის საწარმოებმა პირველ კვარტალში გეგმა 14,3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამხანაგ სტალინის ისტორიული წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" საფუძვლიან შესწავლას. ბელადის წიგნმა ახალი შრომითი მამაცობისათვის ალაფრთოვანა მშრომელები.

პირველ სამკერვალო ფაბრიკაში პარტიულმა ორგანიზაციამ თეორიული გასაუბრების შედეგად გამოარკვია კონტინგენტი იმ ამხანაგებისა, რომელთაც არ შეეძლოთ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა და მათთვის წრე ჩამოიყალიბა. პარტორგანიზაცია აგრეთვე სისტემატურად ეხმარება წიგნზე დამოუკიდებლად მოუშავე ამხანაგებს; აწყობს მათთვის ლექციებს, კონსულტაციებს და სარეკომენდაციო ლიტერატურის გამოფენას. პარტბიუროს მდივანი პირადად ამოწმებს წრის მეცადინეობას, რეგულარულად ინილავს კრებაზე პროპაგანდისტის მოხსენებას და საჭირო დახმარებას უწევს მას მუშაობაში.

რაიონის 500 პარტიული და უპარტიო ბოლშევიკი დამოუკიდებლად სწავლობს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს. პარტიული და სამეურნეო აქტივი საფუძვლიანად ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. მათ ამ საქმეში ყოველმხრივ დახმარებას უწევენ რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ამ მხრივ მუშაობა კარგად არის დაყენებული სისხლის გადასხმის ინსტიტუტში, № 1 სამკერვალო ფაბრიკაში და ფსიქიატრიულ ინსტიტუტში. ამხ. მგელაძე, გოგიტაძე, ჩიხლაძე, შახნაზაროვი, ცოცხალიშვილი, დანილუკი, აკოფოვი, იფაქიძე სიტემატურად მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. მაგრამ ზოგიერთი ამხანაგი ნაკლებად ზრუნავს თავის პოლიტიკურ განათლებაზე. ასეთ ფაქტებს შეეხვედნენ საქმეურეტარეში, არტელ „ფეიქარში", ფოსტის მთავარსამმართველოში და წყალსადენის სახელოსნოში. საქენერგოგასაღების პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. მენთეშაშვილი არ მუშაობს თავის თავზე. იგი არც იმას ამოწმებს, თუ რა მდგომარეობაა ორგანიზაციაში.

რაიონში ჩამოყალიბებულია 34 წრე, რომლებშიც 750 მსმენელი გულმოდგინედ სწავლობს ამხანაგ სტალინის წიგნს. რაიონში მუშაობს აგრეთვე საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი 9 წრე, რომლებშიც 165 მსმენელია გაერთიანებული, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი 8 წრე და საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი 6 წრე. წრეებისათვის შერჩეულია კვალიფიკაციური პროპაგანდისტები.

კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით რაიონულმა კომიტეტმა პრაქტიკაში შემოიღო ღია პარტიულ კრებებზე თეორიული საკითხების გარჩევა, რამაც სასარგებლო შედეგი მოგვცა. ამას წინათ ფსიქიატრიულ ინსტიტუტში ღია პარტიული კრების დღის წესრიგში იდგა საკითხი: „ლენინისა და სტალინის მოძღვრება ომების შესახებ". მოხსენება გააკეთა პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ამხ. მენთეშაშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორი ზურაბაშვილი, დოცენტი გოგრიჩიანი და ყუბანეიშვილი. სასწავლის გადასმის ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ კრებაზე მოისმინა მოხსენება—„საბჭოთა ინტელიგენციის როლი დიდ სამამულო ომში".

გაუმჯობესდა ლექციებისა და მოხსენებების ხარისხი. 1943-1944 წლებში მოეწყო 286 ლექცია, რომლებსაც 18.377 კაცი დაესწრო.

სამამულო ომის დღეებში ფართოდ გაიშალა პოლიტიკური აგიტაცია. 650-ზე მეტი აგიტატორი მუშაობს რაიონის საწარმო-დაწესებულებებში და მოსახლეობაში. ისინი ფართოდ იყენებენ ბოლშევიკური აგიტაციის ყველა ფორმას და საგაზეთო მუშაობას მჭიდროდ უკავშირებენ წარმოების კონკრეტულ ამოცანებს. აგიტატორმა ამხ. გაბაღაძემ საპარში სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობის შესახებ ფართოდ გამოიყენა მის მიერ წარმოების ცხოვრებიდან შეგროვებული ფაქტები და მაგალითები. აგიტატორმა განმარტა, თუ რა გზით შეიძლება ელექტროენერგიის დაზოგვა. გიშალა შეჯიბრება. მსმენელები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და აღებულ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ. ასევე უნარიანად მუშაობს აგიტატორი ბაქრაძე. № 1 სამკერვალო ფაბრიკის 29 აგიტატორი საამქროებში ცვლების მიხედვით ატარებს საუბრებს. ისინი თვითონ არიან შრომაში მაგალითის მიმცემნი. მოწინავე აგიტატორი ამხ. ბაიდაური საუკეთესო სტახანოველია, ეხმარება ახალგაზრდა მუშებს პროფესიის დაუფლებაში.

აგიტაცია აგრეთვე კარგად არის დაყენებული ბეჭდვითი სიტყვის კოშტინატში და ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკაში.

რაიონის მოსახლეობაში 180 აგიტატორი მუშაობს. მე-17 პოლიკლინიკის პარტორგანიზაციამ ყოფილ მე-8 საარჩევნო უბნისათვის 11 აგიტატორი გამოჰყო. ეს ამხანაგები სისტემატურად ატარებენ საუბრებს დაასლინსებთან. აწყობენ კოლეტტიურ წასვლას კინოთეატრებში, დიასახლისებს აქტიური მონაწილეობით გამოუშვეს 10 ბიულეტენი. აგიტატორები დიდ გულისხმიერებას იჩენენ მსმენელებისადმი, დაფყოფნებლივ გამოეხმაურებიან ხოლმე მათ მოთხოვნებს. მაგალითად აგიტატორი ამხ. ღვინიაშვილი დაეხმარა ფრონტელის დედას მარტიროსოვას ბინის შეკეთებაში, აგიტატორი ომედაძე ამეცადინებს ფრონტელის შვილს ანსაზარეოვას.

მაგრამ საგაზეთაცია-საპროპაგანდო მუშაობაში ჯერ კიდევ გვაქვს მნიშვნელოვანი ნაკლი. ესაა გამოსწორებისათვის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს სეიფიზული მუშაობა მართებთ. ყველა აგიტატორი და პროპაგანდისტი როდი დგას მოწოდების სიმაღლეზე. ჩვენ მოგვეთხოვება პროპაგანდისტთა და აგიტატორთა კადრების გადასინჯვა, სუსტი აგიტატორების შეცვლა ენერგიული ადამიანებით. გადაჭრით უნდა გავუმჯობესოთ თვალსაჩინო აგიტაციის ხარისხი, კედლის გაზეთების მუშაობა.

მოლოტოვის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლ. პ. ბერიას მიერ დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილნი, კიდევ უფრო გააუმჯობესებენ საგაზეთაცია-საპროპაგანდო მუშაობას და ყველაფერს გააკეთებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის. ისინი მზარდ დახმარებას უწევენ სამშობლოს, ფრონტს, გერმანელი ფაშისტი არამზადების საბოლოო განადგურების საქმეში.

**ბ. ლუარსაბოვი**

**საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანი.**

## საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის პლენუმი

**ვანი** („კომუნისტის" საკ. კორ.). შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი ამხ. გ. კაკაბაძე პლენუმმა მოხსნა რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობიდან და გამოიყვანა იგი ბიუროს შემადგენლობიდან.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის პირველ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. გ. ა. ცხოვრებაძე და შეიყვანა იგი ბიუროს შემადგენლობაში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. ს. ჭელიძე.

**ნ. ვარდოსანიძე**

# დაიწყო მოსავლის აღება

**გურჯაანი** („კომუნისტის" საკ. კორ.). სოფელ ყანდაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო ქერის მოსავლის აღება. ქერი უკვე აღებულია 30 ჰექტარზე. კოლმეურნეობამ ძნები მიზიდა საღეწ ბუნტებზე. მალე დაიწყება ღეწვა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება. მოსავლის აღებას ამ დღეებში დაიწყებენ აგრეთვე ბოგდანოვკის, კარდენახის, ჩიქობავის და ვეკუნის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებში.

* * *

თბილისის რაიონის სოფელ წალასყურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ე. ჩაჩანიძე) დაწყებულია ქერის მკა. მარტო ორი დღის განმავლობაში მოსავალი ხელით აიღეს 9 ჰექტარზე.

**ბ. კოკრანაშვილი**

* * *

**ლაგოდეხი** („კომუნისტის" საკ. კორ.). კოლმეურნეობები შეუდგნენ თამბაქოს მოსავლის აღებას. აღებულია 3.550 ზონარმიტრი თამბაქო. თამბაქოს მოსავლის აღება დაწყებულია სტალინის, XVII პარტყრილების და „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობებში.

## პირველი განალეწი კური—სახელმწიფოს

**სიღნაღი** („კომუნისტის" კორ.). სოფელ ქვემო მარხაანის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა", რომელმაც რაიონში წელს ყველაზე ადრე დაიწყო თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღება, სახელმწიფოს უკვე ჩაბარა 2 ტონა მარცვალი. მოსავლის აღება და ჩაბარება გრძელდება.

**ს. ჯუჯულაშვილი**

**ლაგოდეხი** („კომუნისტის" საკ. კორ.). კოლმეურნეობებში ქერი აღებულია 263 ჰექტარზე. პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს ბარავენ. ბუდეონის სახელობის კოლმეურნეობამ ჩაბარა 980 კილოგრამი, სოფელ არეშფერანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ—960, ჯაფარიძის სახელობისამ—750 კილოგრამი. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება ამ დღეებში მასობრივად გაჩაღდება.

**ვ. ცირკაძე**

## ხეხილის ბაღებს—მზრუნველი ხელი

**ქარელი** („კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან). რაიონის აღმოსავლეთი ნაწილი ცნობილია ხილის მრავალი ჯიშით.

კოლმეურნეობებში ხეხილი გაშენებულია 1.140,5 ჰექტარზე. სოფელ ბრეთის აღმოსავლეთით მოწყობილია მეხილეობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობა. თვით რაიონის ცენტრთან, ბებნისში 110 ჰექტარზე გაშენებულია თესლოვან ხეხილთა სანერგე.

კოლმეურნეებმა კარგად იციან ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითება, რომ „სხვა კულტურებთან ერთად საქართველოში ვეხილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხური მეურნეობის ეკონომიკისათვის. მას აქვს სრული პერსპექტივა თვისი განვითარებისათვის".

წელს მარტო კოლმეურნეობებმა ნეგნის გარეშე გაშენეს მრავალი ათეული ჰექტარი ხეხილის ბაღი, ბრეთის საბჭოთა მეურნეობაში კი ახალ ნაკვეთებზე დაიარგო 48.000 ძირი ნერგი, რეზონტისათვის გამოიყენეს 1.700 ძირი ხეხილი. წელს როგორც ქარელის, ისე სხვა რაიონებზე მარტო ბებნისის საბჭოთა მეურნეობიდან გაეცემელია 120.000 ძირი ნამყენი.

ხეხილის ბაღებს მზრუნველობით უვლიან სოფელ ბრეთის, მოხისის, სალოლაშენისა და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები. ბაღეებში ბევრგან თავის დროზე ჩატარებულია ნიადაგის შებარვა, ჩაოთხნა, ნაკელის შეტანა, გასხვლა, მაგნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლა, მორწყვა. იქ, სადაც სათანადო ყურადღება ექცევა ხეხილის მოვლას, მოსავალს კარგი პირი უჩანს.

მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ხეხილის ბაღებს სათანადოდ არ უვლიან, სოფელ ქვემატკოცის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. მესხიძე) 26 ჰექტარ ბაღს წელს აგროტექნიკური ღონისძიებანი არ ჩატარებიათ. მეტიც,—ხეხილი დაზიანებულია საქონლისა და მავნებლებისაგან. ასეთივე მდგომარეობაა გალავნის, ბებნისის (თავმჯდომარე ა. ბალლიძე), კეთოჯვრის (თავმჯდომარე ა. მუჟიდლიშვილი) კოლმეურნეობებში. ქენჩეგვრის კოლმეურნეობაში 5 ჰექტარი ახალი ბაღი განადგურებამდეა მიყვანილი. აქ ჯერ მებაღეობის რეგიონიც არაა გამოყოფილი. უქვთესი მდგომარეობა არც ქარელის მესამე ავტორაზაციოსალის სახელობის კოლმეურნეობაშია. აქ ხეხილის ბაღს 65 ჰექტარი უჭირავს, მაგრამ მხოლოდ 6 კაკისაგან შემდგარი რგოლის გამოყოფით დაკმაყოფილდნენ. 7 ჰექტარი მსმხმოარე ბაღი საესაა მავნებლებით და მათი ბუდეებით. არ ჩატარებიათ მსმხმოარობის მოწესრიგებისათვის საჭირო გასხვლა. ტოტები ხშირად ერთმანეთშია გადახლართული. ხეხილისთა შებარვა. მეხილე მ. ავეტისოვი არაფერს აკეთებს. ამავე კოლმეურნეობაში შეუღობავი ხეხილის ახალი ბაღი, ბევრი მცენარე დაზიანებულია.

ხეხილის ბაღი მოითხოვს ყოველდღიურ ზოგადამუშავებას, საქმის გულისხმიერად და ცოდნით შესრულებას. ბაღების მოვლის საკითხებს ქარელის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

**ტრ. თოდრაძე**

26 კომისრის სახელობის ქარხნის სტახანოველი ამხ. გ. გასიშვილი, რომელიც გეგმას 850 პროცენტით ასრულებს და პროფესიათა შორის შეჯიბრებაში მუდამ მოწინავეა.

ფოტო რ. აკოფოვისა



გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი მ. ზეინალოვი, რომელმაც პარკის ჩაბარებს გეგმა 200 პროცენტით შეასრულა.

ფოტო რ. აკოფოვისა

# ფეიქრების შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

— მეკოველო, რა გააკეთე შენ დღეს ფრონტისათვის? — გრძელ წითელ ტილოზე გაკეთებული ასეთი წარწერა იპყრობს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში შემავლელის ყურადღებას.

ახლა ფაბრიკაში ანლეტურად მოეწყვიათ მუშაობა. სამამულო ომის ლოზუნგები და ბლაკატები, გამოდის ფურცელი „ელვა", მოწყობილია „სპპატიო დაფა". პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს XII პლენუმის დადგენილების განხორციელებამ და გაზეთ „კომუნისტის" 17 მაისის ნომერში მოთავსებულმა მასალებმა, რომლებიც შეეხებიან სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის გამოცდილებას პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში, ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს ფეიქართა შორის.

ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა გამოსთქვეს სურვილი ჩაებან შეჯიბრებაში „საუკეთესო მქსოველის", „საუკეთესო ოსტატის" და „საუკეთესო მქსელავის" წოდების მოსაპოვებლად.

კარგად მოაწყეს პირველობისათვის ბრძოლა ფაბრიკის მოსაპრაზადებელ საამქროში (საამქროს უფროსი ამხ. ი. დოლიძე). იქ ყოველდღიურად გამოდის „ელვა", სადაც ფიგურირებენ, თუ ვინ დაფრინავრდა დღეს მქსელავეებს შორის. 5 ივნისის „ელვაში" სწერია: „ტახანოველმა მქსელავმა თ. მიმინოშვილმა დღიური ნორმა 119 პროცენტით შეასრულა... ჩამორჩა მქსელავი ლაპაიშვილი. ამხანაგო მქსელავებო! მიბაძეთ მოწინავეებს!" შეჯიბრების ყოველდღიურმა საჯაროობამ გადალახა ნორმის შესრულებელთა რიცხვი, შეიმატა წარმატებული პროდუქციის გამოშვება და ეზრუნველყო საამქროს ძალადობანარმოების ქმედითი. ამავამად აქ საუკეთესო მქსელავის წოდების მისაღებად მრავალი კანდიდატია—მათ შორის სტახანოველები ლ. ფურცელაძე, ნ. ილაშვილი, სარქისოვა, ბეთანელი. ისინი ყოველდღიურ ნორმებს საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფაბრიკაში ერთ-ერთი წამყვანია საქსოვი საამქრო, აქ საუკეთესო მქსოველის წოდების მოსაპოვებლად ერთმანეთს ეჯიბრებიან ორდენოსანი ოთხდაზგოსანი ნინო ბალანაშვილი და მარგო ბაღდასარიანი. მათ შორის პირველობას ამბ. ბალანაშვილი ინარჩუნებს, რომელიც ოთხ დაზგაზე მუშაობს და დღიურ ნორმას 113 პროცენტით ასრულებს. საუკეთესო მქსოველოს წოდებისათვის წარმატებით იბრძვის ოთხდაზგოსანი მარგო დგებეზაძე. იგი წარმატებით დაეუფლა მრავალდაზგოსნობას და ბალანაშვილს ქსოველს იძლევა: საფარიკო პირველობის, საუკეთესო მქსოველის წოდების კანდიდატები არიან სტახანოველები ნინო და გულნარა მელქიძეები, ნ. მარკოზაშვილი, მ. ჩიჩელაშვილი, ე. მელაძე და ტ. სკორინი.

პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრება სუსტად არის გაშლილი სამდგომარეობა-საავრეტორო საამქროში (უფროსი ს. ამაშუკელი). აქ ჯერ კიდევ არ ჩაუტარებიათ ამ საკითხზე საწარმოო ოთახი. იქვეითად გამოდის უფროსელი „ელვა".

**ლ. სარეზველაძე**

## ფოთელებმა შეასრულეს თევზჭერის წლიური გეგმა

**ფოთი** („კომუნისტის" საკ. კორ.). საქთევზის ფოთის განყოფილებამ (დირექტორი ამხ. დ. ზეფილა) მიმდინარე წლის თევზჭერის გეგმა ვადაზე ადრე, 25 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

საწარმოო დაგალებათა შესრულებაში დაწინაურდა გ. ლარიძის ბრიგადა, რომელმაც წელიწადი გეგმა 120 პროცენტით შეასრულა, მ. კოტუტაროვის ბრიგადამ—195 პროცენტით, ხოლო ი. კობანენკოს ბრიგადამ—158 პროცენტით. მეორეგზეები დ. გოგიჩაიშვილი, გ. კრავეიჩენკო, გ. ლაიათაძე, კ. დეროვი, ს. ბაბუშკინი და ბ. ჯდარკავა სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდნენ თევზჭერის დღიურ ნორმებს.

ფოთელმა მეთევზეებმა აკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცეს რამდენიმე ასეული ცენტნერი თევზი.

**ვ. ბუჯაბიძე**

## საწარმოო გამარჯვება

**სოხუმი** („კომუნისტის" საკ. კორ.). სოხუმის მშრომელებმა ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის სამპატიოდ მისი დაბადებისადმი. ამ ამხანაგ სტალინის სამპატიოდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ქალაქის, საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურმა საწარმოებმა გასული 5 თვის გეგმა თვალსაჩინო გადამეტებით შეასრულეს, ხოლო მაისში—105,6 პროცენტით. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა მაისის დავალება გადაჭარბეს 125,9 პროცენტით, სარეწაო კოოპერაციისამ—121,5 პროცენტით.

მაისში განსაკუთრებით წარმატებით ამუშავეს საკონდიტრო ფაბრიკამ, სამრეწველო კომბინატმა და სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკამ.

## ქარგი გამოგონება

**ზუგდიდი** („კომუნისტის" საკ. კორ.). მეღვინე აგრონომმა შამია ჯანაშიამ გამოიგონა არყის სახდელი გაუმჯობესებული აპარატი, რომელიც ძალიერ მარტივი და ხელმისაწვდომია. ამ აპარატით არყის გამოხდამ წელს ქარხანას მისცა 30 ათასი მანეთის ეკონომია. როგორც მუშახელის, ისე საწვავის მხრივ. ძველებული პროდუქცია ქარგი ხარისხისაა, იძლევა 80-85 გრადუსიან არაყს.

ამბ. მ. ჯანაშიას აპარატი ხელით მუშაობას ცვლის ელექტროენერგიით და იძლევა მუშახელის შემცირებას 2 კაცის რაოდენობით. ამასთან ხუთჯერ დიდდება შრომის ნაყოფიერება. აკადემიკოსმა ა. თვალჩრელიძემ და პროფესორმა ფილატოვმა, რომელნიც დაწარმლებით გაეცნენ არყის სახდელი აპარატის მოწყობილობას, კარგი შეფასება მისცეს აგრონომ ჯანაშიას გამოგონებას.

## წარჩინებული მეაბრეშუმე

**ჩხოროწყუ** („კომუნისტის" საკ. კორ.). სოფელ ნაფირნოვის კირთვის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე თამარ ფოლინამ აბრეშუმის ჭიის საუკეთესოდ მოფარა. 11 გრამი თესლიდან გეგმით გათვალისწინებული 23 კილოგრამის ნაცვლად მიიღო 50 კილოგრამამდე პირველი ხარისხის აბრეშუმის ბარკი და მიიღებ პუნქტს რაიონში პირველმა ჩააბარა.

**ბ. ბეგია**

## საგბოთა კავშირში

### პირდაპირი სატელეგრაფო მაგისტრალი ლენინგრადი-მოსკოვი

დამთავრდა ლენინგრადი-მოსკოვის ძირითადი სატელეგრაფო მაგისტრალის აღდგენა. ახალ ხაზზე აღდგენილია 4 ათასზე მეტი ტელეგრაფის ბოძი, გაბმულია 1.000-ზე მეტი კილომეტრი მავთული.

სატელეგრაფო მაგისტრალი გადაეცემოდა საკადელ ექსპლოატაციაში (საკადესი)

### მოწყობაში ჩაბდა ბელოზნიკოვის კალიუმის კომბინატის პირველი რიგი

საექსპლოატაციოდ გადაეცა ბერეზნიკოვის კალიუმის კომბინატის პირველი რიგი. ამ უდიდესი საწარმოს მშენებლები, რომელიც ომის დღეებში დაიწყო, ჩქარი მეთოდებით წარმოებდა.

კომბინატმა გამოუშვა პირველი პროდუქცია. (საკადესი).

### სამკურნალო ქალის აღდგენა სმოლენსკის ოლქში

სმოლენსკის ოლქის ქალაქებსა და სოფლებში გათავდა იმ სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობა და აღდგენა, რომლებიც ბერმანელებმა დაანგრიეს.

ქალაქ ელნიაში ჰიტლერელებმა დაბუგეს საავადმყოფოს მშვენიერი შენობა. ახლა იქ იხსნება ახალი სამკურნალო. მთავრდება ორი ამბულატორიის აღდგენა ვიაზმასა და სუხინიჩში.

მიმდინარე წელს სმოლენსკის ოლქში გახსნილ უნდა იქნას 30 საავადმყოფო, 8 სპეციალური ამბულატორია, 17 სარძეო სამზარეულო, ათობით საფეხურელ-სამეანო პუნქტი და ამბულატორიები.

სოლოქო ცენტრიდან დაშორებული რაიონების მოსახლეობა სწრაფ სამედიცინო დახმარებას თვითმფრინავებით იღებს. (საკადესი).

### „არქიტექტურის ზოგადი ისტორიის" პირველი ტომი

დაიბეჭდა „არქიტექტურის ზოგადი ისტორიის" პირველი ტომი, რომელსაც სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემია უშვებს. ტომი შიძღვნილია ძველი ქვეყნის არქიტექტურისადმი, წიგნი კარგად არის გაფორმებული და დასურათებულია. ამჟამად მზადდება დასაბეჭდად მეორე ტომი. სულ გამოშვებული იქნება რ ტომი. (საკადესი).

### ავიროლობა კრეშჩატიკის ბასაწყვნლად

4 ივნისს კიევის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ მოაწყეს მასობრივი ავიროლობა. ნანგრევთაგან კრეშჩატიკის გასაწმენდად გამოვიდა დაახლოებით 50 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი, ახალგაზრდობამ კრეშჩატიკის გაწმენდაზე უკვე გამოიმუშავა 70 ათასი კაც-დღე და ამდენივე კუბმეტრი ნანგრევი გასწენდა. (საკადესი).

### ბელგოროდ-ხარკოვ-ბალტიისპირეთის ბ-ბ ხაზი

ბელგოროდ-ხარკოვ-ბალტიისპირეთის ბ-ბ ხაზზე ბელგოროდ

პარასკევი, 9 ივნისი, 1944 წ. № 116 (7060).

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუჩრილან სევასტოპოლამდე

ყირიმისათვის გმირული ბრძოლა 19 მაისს დამთავრდა. ამ დღეს წითელმა არმიამ დაიკავა სევასტოპოლი.

ქერჩიდან სევასტოპოლამდე წარმოებულ ბრძოლებში, მომმე ხალხების შვილებთან ერთად, თავი გამოიჩინეს ქართველმა მეომრებმა.

ამ მთებსა და ფერდობებზე, სადაც ეს ბრძოლები ხდებოდა, ფეხდაფეხ მიეყვებოდა მებრძოლ ქვეგანაყოფებს. ვუსმენდი ვაქკაცების მეომრულ მაჯისცემას და ვწერდი ამ სტრიქონებს.

✿ ✿ ✿

ნათალი ქვით აგებული ორ-სამ სართულიანი შენობებგ დგას ქუჩებში. ერთი შეხედვით გეგონებათ, რომ იქ ხალხიც უნდა ცხოვრობდეს. აგერ ფანჯარაზე სელის მოყვითალო ფარდა ჰკიდია. მეორე სართულის რკინის აივანზე დგას პატარა ოთხკუთხი მაგიდა, ორი მხრიდან სავარძლები აქვს მოდგმული, მაგიდაზე ჩაიდანი და სპუტნიკი აწყვია. გეგონებათ, აი ახლა ოთახის კარი გაიღება, ვინმე გამოვა და ჩაის სმას შეუდგებთო. მაგრამ ამ შენობას კედლების მეტი არაფერი გააჩნია. ოთახები ჩანგრეულია. კედლებს აწერია მრავალმეტყველი სტრიქონები: „მებრძოლო, ეს კედლები შურისძიებისაკენ მოგიწოდებენ“. მართლაც, შურისსაძიებლად კვალდაკვალ მისდევენ მტერს ჩვენი მებრძოლები.

აი, ამ გზით გაიქცნენ ყაჩაღები და ამავე გზით დაედევნენ შურისმაძიებლები. ეს გზა კი დიდია, მთებს შორის არის მოქცეული. ხანდახან დაბლობებზე გაიკრება, ზოგის ზღვასაც ჩაუვლის გვერდზე და მერე ისევ მთებისაკენ შეტრიალდება.

აგერ ორთქლმავალი დგას, ორმოცოდე ვაგონი აქვს მიბმული. მიმართულება ურდოლთან ნაკვალევისაკენ მიუდია. ორთქლმავალს აწერია: „გერმანიის სახელმწიფო გზა“. სისხლი ყელში გვიჯინდება. ჩვენს მშობლიურ ქვეყანაში. მამა-პაპათა სისხლითა და ოფლით მორწყულ მხარეში—გერმანიის სახელმწიფო გზა! მაგრამ ეს ორთქლმავალიც მისთვის უცხო ქვეყანაში ისეთივე ყაჩაღია, როგორც თვით გერმანელი. იგი გამზადებული ყოფილა ქვეყნის ქონების გასატაცებლად, მხოლოდ უკანასკნელ წუთებში მიუსწრიათ. ამიტომ არის, რომ ყაჩაღთა ამ ორთქლმავალს გულმუცელი ჩანგრეული აქვს, ცალ მუხლზე წაქცეულია.

შარა გზას მივყვები. ეს გზა და ზედ მიკრული ფერდობები გუშინწინ ბრძოლის ველი იყო. ყაჩაღები ამ გზით მირბოდნენ, მაგრამ ჩვენები წინ გადაეღობნენ, შეებრძოლნენ.

— თავები სადღაა?—ცნობისმოყვარეობით ვეკითხები თანამგზავრს.—მარცხნივ და მარჯვნივ გერმანული მუზარადები ჰყრია, მაგრამ სად არიან ის თავები, რომელთაც ეს მუზარადები ეხურათ?

თანამგზავრი ხელს ძირს იშვერს.

— მიწაში!

მთელი გზა მოფენილია გერმანული ირაღლით, ტყვია-წამლით, ირწინაღებით. ღელეებში გადაჩეხილა დამწვარი ტანკები, ქვემეხები, ტყვიამფრქვეველები.

ქართველი მებრძოლები მიიწევდნენ წინ. ეს ქართველმა მეომრებმა ერთმანეთს დაუშორეს „ირიღი“ თავები და რკინის მუქანე მუზარადები. როდესაც ჩვენებნი ახლად აღებულ სოფლებში შედიოდნენ, მოსახლეობა

ყვავილებით ეგებებოდა მათ.

✿ ✿ ✿

სოფელთან ხალხს თავი მოუყრია. დაქანებულ ფერდობზე გერმანელებს სასაფლაო მოუწყვიათ. მწყობრივით სწორად ჩამოდგარან თეთრად შეღებილი ჯვრები. ამ ჯვრების წინ კი შავ სევასტიკაზე შემჯდარი კისერმოგრეხილი არწივია გამოხატული.

მოგლეჯეს სევასტიკანი დაფა, ძირს განერთხა შავი არწივი. რამდენიმე ქალი ზედ შესდგა და მოზეიმე სახით თვალი ვაკვაკლო იქცერობას. მამაკაცები შორიახლო დგანან და შესცქერიან. ისინიც იღიმებიან. ქუდებზე, შუბლს ზევით, წითელი ნაჭრები აკრავთ—მიეუახლოდა

— ჩვენ პარტიზანები ვართ, — მიპასუხეს შეკითხვაზე. იერზე ვატყობ ვინც არიან.

— ქართველები ხართ, ბიჭებო?—შევეკითხე.

— დიახ, ქართველები ვართ!

იმავე წუთს გარს შემომეხვია თხუთმეტოდე კაცი. კითხვები მომყარეს, გინ ვარ, საიდან მოვდივარ.

— ოჰ, თბილისიდან მოდიხართ?—აღტაცებით წარმოსთქვეს მათ. ერთმა ღიმლით მითხრა:—რამდენიმე დღის წინათ რუსთაველის პრასპექტზეც გაიელიდით. ოპერის თეატრი, ვერის ხიდი, მტკვარი... ხომ გადახედავდით მტკვარს. ადიდდებოდა, გაზაფხულია...

— მიხარია, რომ ვაკაცები ყოფილხართ. თქვენ ის მტკვარიც ასახელეთ და თბილისიც.

— შეხედეთ, ეს განცხადება ჯერაც არ მოუხსნია.—მიმახედა ერთმა მათგანმა ტელეგრაფის გადაზნექილი ბოძისაკენ.—„ეფერთხილდით პარტიზანებს“ — ეწერა გერმანულად. პარტიზანი სწრაფი ნაბიჯით ბოძთან მივიდა, დაფა ჩამოკლიჯა, მოგვიახლოდა და სთქვა:

— ვიღას უნდა ეშინოდეს ახლა. ვისაც ჩვენი ეშინოდა, ამ ჯვრებს ქვეშ განისვენებენ.

— თქვენ, უფროსო ვინ არის?...

— ჩვენი მეთაური პეტრე გეგლია იყო, ახალგაზრდა, უშიშარი, იმან გადვიყვანა ტყეში ჩვენი ადგილსამყოფელი შავი მთა იყო, ასე უწოდებენ მას. ვიცოდით, რომ იმ ტყეში ძველი პარტიზანები იყვნენ, მაგრამ მათი მიგნება და მათთან შეერთება ძნელი გახდა. ერთ დილას შეგვდით ტყეში. ხეებზე ფურცლები აეკარით: „ძმებო, ამ ტყეში ქართველი პარტიზანები ვიმყოფებით, რომ შეგვხვდეთ, არ გვესროლოთ, არც ჩვენ გესვრით, ვებრძვით ყირიმის განთავისუფლებისათვის“. ვიდრე მათ შეეფერთდებოდით, გვეჭირდა, საჭმელი არ გაგვაჩნდა. სამ დღეს გვეძებდნენ ძველი პარტიზანები. ერთ დღეს სამნი—პეტრე გვაღლია, ნიკოლოზ მახვილაძე და მე (ამბავს ჩვენები დავით კაშია) წყლის პირას გასხდომოდნენ. ამ დროს ტყიდან გამოვიდა ერთი პარტიზანი. ჩვენ გაგვიკვირდა უცხო კაცის დანახვა, მაგრამ არ წამომდგარვარ. რას გაგვიმკლავდებოდა. დინჯად მოგვიახლოვდა და რუსულად მოგვესალმა. გვაღლია შეეკითხა:

— სამოყვრად მოსულხარ თუ სამტროდ?

— თუ პარტიზანები ხართ, მოყვრად, თუ არა და, სამტროდ! — პირქუშად და წარბშეუხრელად გვიპასუხა. გულში გავიფიქრე, რისი იმედი აქვს მეთქი.

გვაღლიამ უპასუხა:

— ჩვენ ქართველი პარტიზანები ვართ!

ამ სიტყვაზე მოსულმა ავტომატი მხარზე ჩამოიკიდა, ორივე ხელი გაუწოდა გვაღლიას, გადაეხვია და ისე გადაჰკოცნა, როგორც ოცი წლის უნახავმა ძმამ. მაგრამ ეს კოცნა და ტყიდან თავით ფეხებამდე შეიარაღებული პარტიზანების გამოსვლა ერთი იყო. ყველანი შემოგვეხვივნენ, მეგობრულად გვართმევდნენ ხელს. სამი დღეა დაგეძებთო, სამდურავით გვეუბნებოდნენ. წაგვიყვანეს, დაგვაპურეს, მოგვასვენეს და შემდეგ შეერთებულად აი ამათ ვებრძოდით.—დაასრულა და ხელი გაიშვირა თეთრი ჯვრების მწყობრისაკენ მეც უნებურად გავიხედე სასაფლაოსაკენ. ჯვრები შემცირებულიყო, ქალები ჰგლეჯდნენ მათ, ამბობდნენ ფაშისტების ნიშანი კი არა, მათი სახსენებელიც ალარ უნდა იყოსო.

კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ. მაგრამ სევასტოპოლის მისადგომებისაკენ მიმეჩქარება, ამ გმირ ქალაქთან ჩვენი ლომგული ბიჭები დგანან, საბრძოლველად ემზადებიან, მათ უნდა მივუსწრო აუცილებლად.

✿ ✿ ✿

ფრონტისაკენ!...

ყველა და ყველაფერი ფრონტისაკენ მიემართება. ავტომანქანები, ტანკები, საზიდრები, ცხენოსნები და ქვეითად მიმავალი ჯარისკაცები. დღითა და ღამით ეზიდებიან საომარ მასალას, იარაღს, ქვემეხებს.

მტვრის კორიანტელში თეთრად შეფერილია მანქანა, ადამიანი, ხეები, ბუჩქები, ბალახიც კი. დროდადრო ჩერდება ეს დაუსრულებელი ქარავანი. ვერ იტანს გზა ამდენ ტვირთს, ამდენ მგზავრს, ლამის ჩაიზნიქოს, გადატყდეს.

ღამღამობით, უფარსკვლავო ცის ქვეშ, სიბნელეში გაისმის საყვირების გამჭვალავი ხმები, ყალყზე შემდგარი ცხენის ჭიხვინი, ადამიანთა ომახიანი ძახილი.

ეს გზა სევასტოპოლისაკენ მიემართება. უმრავი მთა და ფერდობი, ღელე და ხეობა, ალვისხეებით შემკული დაბლობები და მწვანე ტყეები იშლება თვალწინ. მაისია, და აყვავებული მდელო, აყვავებული მთები, ღელეებში ნაკადულები წკრიალებენ, ტყემ მოისხა ფოთოლი და შრიალებს გაზაფხულის ნიავქარისგან. თითქოს მოზეიმე ბუნებას წიაღში, ადამიანი სიცოცხლის დასატკბობად მიემგზავრებაო, მაგრამ ჩნდება ათეულ კილომეტრზე გადაჭიმული, მაღალი, სწორი, მიუსაფალი საპუნის მთა და უნდა შეჩერდე. ამ მთის გადასალახავად ცეცხლია საჭირო, მისი გადათელვა მხოლოდ ვაკაცებს შეუძლიათ.

საპუნის მთა!.. სევასტოპოლის ზვიადი მისადგომი! მის მიდამოებში დგგროვდნენ ქერჩიდან გამორეკილი გერმანელთა განადგურებული ნაწილების ნაშთები დიდძალი ტექნიკით. ისინი შეეერთდნენ სევასტოპოლის გარნიზონს მტის თავდაცვა წარმოადგენდა ათასობით ძელმწყობსა და ხანგრძლივ საცეცხლე წერტს, რკინა-ბეტონით შედეგებულ, სამ ზოლად ჩამწკრივებულ ტრანშეებს, ადამიანის სიმაღლე სანგარსასვლელებს, დანაღმულ ველებს, ორმოცდათა მეტრის სიღრმის მავთულხლართებს, ორი კილომეტრის სიღრმეზე განლაგებულ სატყვიამფრქვევო წერტებს და დიდძალ არტილერიას.

1941 წლის ნოემბერს სწორედ ამ მისადგომებთან მოძალებული იყვნენ გერმანელები. ეს მათი მოძალება ორასორმოცდათა დღეს გაგრძელდა. იყო შეტევის ისეთი დღე, როდესაც მტერმა ოცდათა წუთის განმავლობაში ათიათასი ყუმბარა ისროლა, ერთ დღეში ოთხი ათასი თვითმფრინავგადაფრენა მოახდინა და ათიათასი ბომბი დააყარა სევასტოპოლს ჩვენი მეზღვაურები და ქვეითები ყოველდღიურად თხუთმეტ-ოც იერიშს იგერიებდნენ და ორასმეორმოცდათე დღეს სევასტოპოლის კედლებთან სამასიათასი ჰიტლერელი იყო დამიწებული.

ხვალ შეიდი მაისია. საპუნის მთაზე შეტევა უნდა დაიწყოს. საბელგანთქმული გვარდიული ნაწილები და ქართველი მებრძოლები მზად არიან შეტევაზე გადასასვლელად ყოველ მებრძოლს ეჩქარება გმირ ქალაქში შესვლა, ყველას წყურია პირველმა შესდგას ფეხი...

✿ ✿ ✿

მზვერავთა ოცეულის მეთაურს ორდენოსან შოთა ჭინჭარაძეს ამოცანად დაუსახეს დაზვერა მტრის განლაგება, დაეზუსტებინა მისი საცეცხლე წერტილები და მოვნე წამოეყვანა.

ღამის 2 საათი იყო, როდესაც ჭინჭარაძე რვა მზვერავის თანხლებით ამოცანის შესასრულებლად გაეშურა. ჯერ მთვარე ამოსული არ იყო. ვარსკვლავებს კი გაზაფხულის მოხეტიალე ღრუბლები გადაეფაროდნენ. ნიავი მათი გზის მიმართულებით მიჰქროდა და ნიავს ისინი რომ არ გაეცა, სულგანაბულნი მიიწევდნენ წინ. მტრის წინა კიდეს რომ მიუახლოვდნენ, უკვე ხოხვით დაიწყეს წინსვლა. დილის ოთხ საათისათვის მზვერავები მტრის ზურგში აღმოჩნდნენ.

რიერაციის სილურჯემ გადაჭრა ცას. ამ ლურჯ შუქში შავ კონტურებად მოსჩანდნენ ერთ-ერთი ხუტორის დაბალი სახლები. სოფელში შემავალ გზასთან მზვერავები ორ ჯგუფად ჩასაფრდნენ.

პირველ ჯგუფს უფროსი სერჟანტი პავლე ცაავა მეთაურობდა. ცაავა ახალგაზრდა არ არის, მაგრამ მარჯვეა, ღონიერი და გულადი. ტანად წარმოსადეგი ვაკაცი მოწინააღმდეგეს, მოენეს თავზე რომ წამოადგება, თავზარსა სცემს. იგი ყოფილი მეზეიმეა. ღონიერი მარჯვენა აქვს. მუშტს ისე ჩაარტყამს მოწინააღმდეგეს, თითქოს ფუთიანი ტოროო. სწორედ ამიტომ არის, რომ მოენეები ხმაამოუღებლივ ნებდებიან მას. მისი მკერდი მამაცობის მედლითა და დიდების ორდენით არის დამშვენებული. მართლაც ღირსია დიდებისა. ცაავას ჯგუფი მეზეიმე ბუჩქებს შეეხამა. სინათლეც რომ ყოფილიყო, მაინც ძნელი იქნებოდა მისი შემჩნევა. ისინი მშვიდად და მოთმინებით ელოდნენ ვინმეს გამოჩენას. წითლად შეიღება ცა. უკვე გარკვევით მოჩანდა ხუტორიც და მისი მიდამოც.

ცაავამ კარგა მოშორებით ორი მანქანა შენიშნა. ერთი წუთის შემდეგ, დარწმუნდა, რომ ეს მანქანები მათკენ მოემართებოდნენ.

— გრანატები გამზადეთ,—წასჩურჩულა ამხანაგებს.

მზვერავები მზად იყვნენ. მანქანების გუგუნი და მოლოდინი მათ გულის ძგერას აძლიერებდა. აი, ათ მეტრზე მოახლოვდნენ, სტყორცნეს გრანატები. პირველი მანქანა აფეთქდა. მეორე მანქანა უცბად შეჩერდა და იქიდან გადმოხტა ექვსი გერმანელი, რომლებმაც იმავე წუთს სროლა აუტეხეს ცაავას ჯგუფს. ამ დროს ჭინჭარაძის ჯგუფს არ სძინებია, ისინი მათ ზურგში იყვნენ. ოთხი ფაშისტი იქვე უსულოდ დაეცა, ორმა კი ტყეს მიაშურა. ცაავას ჯგუფი კვალდაკვალ დაედევნა მათ. ერთი მოჰკლეს, მაგრამ მეორეს უნდა გაფრთხილებოდნენ. მხოლოდ დასაშინგლად ისროდნენ ჰაერში, ეშინოდათ არ შემოჰკვდომოდათ. ის უნდა ყოფილიყო მათი მოენე.

როდესაც ცაავამ მას კისერში ხელი წაავლო, გერმანელს უკვე ხელები მლოცველივით ცისაკენ ჰქონდა აპყრობილი.

ჭინჭარაძის ჯგუფმა დაამთავრა საქმე. მზვერავმა მეფარიძემ, რომელმაც მშვენივრად იცის მანქანის მართვა, მოტორი აამუშავა, მანქანაში ჩასხდნენ და ტყეს შეეფარნენ.

ახლა უკვე საჭირო იყო მტრის ზურგიდან შეუფჩნეველად გამოსვლა. დღამემდის დაუცდეს. უკან წასასვლელი გზები დაბუსტეს. მეფარიძე გერმანული მანქანის კაბინაში ჩაჯდა, დანარჩენები მოენესთან ერთად მანქანის ძარაში ჩაწვნენ და ბინდისას მტრის წინა კიდისაკენ გაეშურნენ. ისეთი შთაბეჭდილება შეჰქმნეს, თითქოს მოწინავე ხაზისათვის საომარი მასალა უნდა მოეტანათ.

საკონტროლო პუნქტს რომ მიუახლოვდნენ, მეფარიძემ სრული სისწრაფით გააქროლა მანქანა. გერმანელი სალდათები გამოერკვნენ, სროლა ასტეხეს, მაგრამ გვიან-ღა იყო, ჩვენი მზვერავები მათ განლაგებას მოცილებული იყვნენ.

ორი საათის შემდეგ ერთ-ერთი ნაწილის შტაბში გერმანელი ვაი-მეომარი ჩვენს მეთაურებს რუკაზე უჩვენებდა თავიანთი ნაწილების განლაგებას.

✿ ✿ ✿

განთიადისას შეტევა დაიწყო. მთათა ძირებიდან ატყდა ქვემეხების სროლა.

სამი წუთიც არ იყო გასული, რომ უღრუბლო, მზით გაჩაღებულ ცაზე რამდენიმე მიმართულებიდან გამოჩნდნენ მწყობრად დაწყობილი საბჭოთა ესკადრილიები. დაბეირთული ბომბდამშენები მძიმედ მოგუგუნებდნენ, მათ თავს დასტრიალებდნენ ავიაგამანადგურებლები, რომელნიც შეგვარდნებივით ნავარდობდნენ, ხან კარგა შორს წინ გაუსწრებდნენ, ხან მაღლა აფრინდებოდნენ, ხან ჩამორჩებოდნენ, აკილებდნენ დანიშნულ ადგილამდე, გზას უკაუვადნენ, მზად იყვნენ, თუ მტრის ავიაგამანადგურებლები შემოხვდებოდათ, ბრძოლით დაეცვათ ბომბდამშენები. მზის სხივებზე თვითმფრინავები სარკეებივით ბრჭყვიალებდნენ, თვალებს სჭრიდნენ მტრის მეზღვაურებს, რომელნიც გრიგალისებრ ცეცხლს უშენდნენ მათ. ჩვენი ბომბდამშენები საპუნის მთაზე ჰყრიდნენ ბომბებს და უკან ბრუნდებოდნენ. გზაში ეგებებოდა თვითმფრინავთა ახალი ტალღები

მტრის ავიაგამანადგურებლები გამოჩნდნენ. გაიმართა სასაერო ბრძოლა, რომელიც სულ ორიოდე წუთს გაგრძელდა. ჩვენი ავიაგამანადგურებლები მფარველ ოლად შემოეტყნენ საბჭოთა ბომბდამშენებს. აი, ერთი თვითმფრინავის ბრძოლა. უცნაური იყო ეს ბრძოლა. ხან გვერდიდან შემოუარა, თითქოს მოგვერდი უნდა გაუკეთოსო, ხან ისარივით ავარდა ზეციო, რომ მეხივით თავს დასტყდომოდა, ხან კიდევ კლაკნილად ისრიალა წინ, ბოლოს კუდში მოექცა, და მტრის მანქანა კვამლში გაეხვია, უცბად დაეშვა ძირს, კვამლის მუქი და სწორი ხაზი ჰაერში გაავლო და დაეცა. იმავე წუთს ორი პარაშუტი გაეშალა. მტრის ორი მფრინავი ეშვებოდა დაბლა, მაგრამ მათ თავისიანებმავე სროლა აუტეხეს და ჰაერში დახოცეს.

საპუნის მთას ცეცხლის ქარტეხილი დასტრიალებდა. მიწა და ფოლადი ერთმანეთში დუღდა. და როდესაც ეს ქარტეხილი ჩვენმა არტილერისტებმა და ავიაციამ მტრის თავდაცვის სიღრმეში გადაიტანეს, უშიშარი ქართველი მეომრები შეტევაზე გადავიდნენ. ორგზის ორდენოსანი ოფიცრის იოსებ გორგიშვილის ქვეგანაყოფი პირველი მიიჭრა მტრის ტრანშეებთან.

მაიორ სავოჩკინის და მაიორ კაკაძის ქვეგანაყოფები მტერს სანგრებში მიუხტნენ და ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს. მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის მეთაური ლეიტენანტი ი. ჯიჯიაშვილი ერთ-ერთ მოიერიშე ჯგუფს მეთაურობდა. როდესაც საარტილერიო ცეცხლით მისი გუნდის მებრძოლები დაიკრნენ, თვითონ მივიდა ტყვიამფრქვევთან და ქვეითების შეტევაზე გადასვლის დროს ტრანშეებიდან ამოცვივნულ გერმანელებს დაუშინა.

მტერმა უწესრიგოდ უკანდახევა დაიწყო. ბრძოლის ველზე უამრავი დახოცილი და დაჭრილი დასტრეა.

იოსებ გორგიშვილი დაიჭრა. მტრის ტყვიამ მუხლში ძალა წაართვა, მაგრამ მაინც ფეხზე იდგა, ძირს არ დავეცემიო. ის ამ დროს საპუნის მთაზე ამყოფებოდა.

— ბედი არ მქონია, — გაიცლო გულში — სევასტოპოლში ვერ შევდივარ. ჩემო ვაჟკაცო მებრძოლებო, ჩემი მეომრული სალამი თქვენ მიიტანეთ სევასტოპოლში. — დაუბარა მის გვერდში მყოფთ და ცალი ხელით ამხანაგს დაეყრდნო, სევასტოპოლისაკენ გაიხედა. ბრძოლის ცეცხლისაგან ამდგარ ვარდისფერ ნისლში თითქოს შენიშნა ქალაქის კონტურები, გაიღიმა, გულში სთქვა ვხედავო, და ფეხმა ვეღარ გაუძლო, მიწაზე დაეშვა.

— უმეთაურობას არავის არ ეგრძნობინებ, — წარმოსთქვა სამი ორდენის კავალერმა კაპიტანმა შალვა დავითულიანმა, როდესაც გორგიშვილის ბრძოლიდან გასვლა გაიგო. მეთაურობა თვითონ იკისრა. ერთი ქვეგანაყოფიდან მეორეში გადადიოდა, ყოველთვის საბრძოლო წყობაში იმყოფებოდა, სადაც დიდი წინააღმდეგობა იყო, დავითულიანი იქ ჩნდებოდა.

8 მაისს საღამოს შვიდი საათისათვის ი. გორგიშვილის, ე. ქანთარიას და მანაგაძის მებრძოლები უსაჭელო ხუტორში შეიჭრნენ და დაუყოვნებლივ განაგრძეს შეტევა. მტერი გამაგრდა წინასწარ ამორჩეულ ზღუდეებზე და ჩვენს ქვეგანაყოფებს საშუალებას არ აძლევდა გაპრილიყვნენ

# ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲞᲝᲚᲣᲛᲝᲠᲫᲕᲘᲜᲝᲕᲘ

სევასტოპოლის მთავარი გზისაკენ. 9 მაისს დილით მაიორ ზურაბიშვილისა და ქარჩხაძის არტილერისტებმა ზუსტი ცეცხლით მოსპეს მტრის საცეცხლე პოზიციები. ქვეითების საათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ პანიკით მოცული გერმანელები ტრანშეებიდან ამოცვივდნენ და უკუიქცნენ, სევასტოპოლის გარეუბნებს მიაშურეს. ვაკაცურად იბრძოდნენ როსტომაშვილისა და ძიძიგის ქვეგანაყოფები. მათ მტრის სწრაფი დევნა განაგრძეს და სევასტოპოლში სამხრეთ-დასავლეთიდან შეიჭრნენ. ამ დროს ჩრდილოდასავლეთიდან ქალაქში გვარდიული ნაწილები შეიჭრნენ.

საღამოს რვის ნახევარი იყო, გვიანი გაზაფხულის ნათელი საღამო. მეავტომატენი ბრძოლით ერეკებოდნენ აქა-იქ ხანლებს ამოფარებულ გერმანელებს. შორიდან ვხედავ ვიღაც მებრძოლი წვიმსდენი მილით ორსართულიანი შენობის აივანზე ადის რამდენიმე წუთი, და მებრძოლმა აივანზე წითელი დროშა გადმოჰკიდა. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ქუჩებში მოსახლეობაც გამოჩნდა. ისინი გულთბილად ეგებებოდნენ მებრძოლებს. დიდხანს გაისმოდა მათი სიტყვები:

— ჩვენები, ჩვენები მოვიდნენ!

✿ ✿ ✿

სევასტოპოლიდან გარეკილი გერმანელები ზღვის ნაპირას ყურეებში ჩასხდნენ და იქ გამაგრდნენ. იქიდან ლამობდნენ თავიანთი ბუნაგისაკენ გაძვრომას. მათ წასაყვანად მოფრინავდნენ სატრანსპორტო თვითმფრინავები, მოცურავდნენ კარჭაპები, მაგრამ ჩვენი არტილერია და ავიაცია მტერს საშველს არ აძლევდა.

ეს, მოცურდა ნაპირთან ორი კარჭაპი.

სათვალთვალო პუნქტზე დგას შენაერთის არტილერიის უფროსი. ის სტერეოსკოპით გასცქერის ოუფნაია ბუხტასთან მიკრულ შავ ზღვას. დაკინებით აკვირდება ამონშნულ ადგილს, და როდესაც დარწმუნდა ნანახის სინამდვილეში, რადისტს მიუბრუნდა:

— გამთენაძე, კავშირი გაქვს?

ახალგაზრდამ, შავგრემანმა, სულ ოცი წლის ყმაწვილმა ოთარ გამთენაძემ ნახშირივით შავი თვალები ცოცხლად შეანათა პოლკოვნიკს:

— არის, ამხანაგო პოლკოვნიკო!...

და რადისტი ამავე წამს რაციას მიუბრუნდა, ჩართო სადგური. ის სწრაფად და აუღელვებლად მოქმედობს. ახალგაზრდაა, მაგრამ გამოცდილი რადისტი. მკერდზე ორი მედალი აქვს, ორივე მამაცობისათვის მიღებული.

პოლკოვნიკი დასცქერის საათს, ოთარ გამთენაძეს წუთიც კი არ დასჭირებია. გაისმა მისი გამოძახების ხმა:

— გადაეცით ორლოვს, მოწინააღმდეგის ორი კარჭაპი ნაპირზე იტვირთება და გასვლას აპირებს რუმინეთის მიმართულებით. გაიყვანოს წინ საარტილერიო ოცეული და დაუშინოს ცეცხლი!

პოლკოვნიკი კვლავ საათს დასცქეროდა. გაიდა ერთი წუთი, მეორე, მესამე... კარჭაპები მოსცილდნენ ნაპირს. მეოთხე წუთიც გათავდა. პოლკოვნიკი უკვე ფილავს. მაგრამ ამ დროს სტერეოსკოპში შენიშნა, რომ ქვემეხის პირველმა პირდაპირმა დარტყმამ პირველ კარჭაპს ცეცხლი გაუჩინა.

— ყორაღ!...—წარმოსთქვა პოლკოვნიკმა და დაკინებით დააცქერდა ზღვის ნაპირს.

ერთმა წუთმაც განვლო, და ქვემეხის ყუმბარებმა მეორე კარჭაპსაც გულკერდი ჩაუნგრია. ორივე კარჭაპმა ჩაძირვა დაიწყო.

— გმირები არიან!..—კვლავ წარმოსთქვა პოლკოვნიკმა და სტერეოსკოპი სხვა მიმართულებით გადაიტანა.

ეს სიტყვები—„გმირები არიან“ შეეხებოდა ორგზის ორდენოსან ოფიცერ ხარატიშვილის ნაწილის ლეიტენანტ კომკარიის საარტილერიო ოცეულის უფროს სერჟანტებს მრეველიშვილს და ლებანიძეს, რომლებმაც ოთხწუთნახევარში თავიანთი ქვემეხები წინ გააგორეს, ღია პოზიციაზე დაყენეს და მეხუთე წუთზე თვითეულმა მათგანმა პირდაპირი დარტყმით, პირველივე გასროლით ცოცხალი ძალითა და ტექნიკით დატვირთული მტრის ორიმე ტრანსპორტი შავი ზღვის ფსკერისაკენ გაგზავნა. და ახლ ყოველი კარჭაპი, რომელიც კი ყურეში შემოსულას შემობედავდა, ძირებოდა. ამის შემდეგ საბოლოოდ იმედდაკარგული გერმანელი ფაშისტები ხელებაწეულნი ამოვიდნენ ზეციო. ისინი ამოდიოდნენ არეული ნაბიჯით, ბარბაცით, ცხვრებივით თავგზააბნეულნი და დამუნჯებულნი. მოდიოდნენ ასობით, ათასობით, ათიათასობით. მოდიოდნენ დაუსრულებელი და უთვალავი რიგებით. მოდიოდნენ შარა გზის ყაჩაღები, ვეცქერი და მათ ფონზე ვხედავ სევასტოპოლის დანგრეულ სახლებს.

შურისძიების წმიდა გრძნობა ღვიძის თვითეული საბჭოთა მოქალაქის გულში!—ვამბობ მე.

გამოვბრუნდი უკან. ღელეს მივაშურე, ნაცნობი ღელეა. სუფთა წყარო მოსჩქეფს. იქ დასვენებაც შეიძლება. ფერდობს რომ შემოვუხვიე, სიმღერა შემომესმა. ქართულად მღეროდნენ. ქორწილში თუ მომისმენია ასეთი ძლიერი და გულიდან ამოძახილი სიმღერა. ათიოდე ნაბიჯი რომ გავიარე, შორიდანვე შევნიშნე — წყაროსთან მებრძოლთა ქვეგანაყოფი ჩამომსხდარიყო.

მივედი. სიმღერა უფრო გაძლიერეს. მათი ხმა ღელეს ავსებდა, დაქანებული ფერდობებით მთებზე ადიოდა და მთის მწვერვალებს აღწევდა. ისინი ღვინოს როდი სვამდნენ.

ეს მებრძოლები ერთი საათის წინათ ბრძოლიდან გამოვიდნენ. ერთი საათის წინათ სიკვდილს თვალებში თამამად უცქერდნენ და ახლა კი, როდესაც ამ სიკვდილის საშიშროებას ზურგი შეუბრუნეს, სიცოცხლის, გამარჯვების სიმღერას „მრავალჟამიერს“ უმღერიდნენ:

დიდ სტალინს!

საბჭოთა სამშობლოს!

მოქმედი არმია.







ყირიმისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ხურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ: 1. საომარი ტექნიკის გადატანა ქერჩის სრუტეზე. 2. გაქცეულ მტერს დევნიან ქართველი მებრძოლები. 3. განთავისუფლებულ სევასტოპოლში. ლენინის მოედანზე საბჭოთა სამხედრო-საზღვაო დროშის აღმართვა. 4. ქართველი პარტიზანების შეხვედრა მებრძოლებთან და მეთაურებთან. 5. ქართული შენაერთი მიემართება სევასტოპოლის მისადგომებისაკენ.

№ 3 ფოტო ე. ხალდეისა და ბ. ველიაშევისა (საკავშირო ფოტოქრონიკა). № 1, 2, 4, 5—კინოოპერატორ ლ. დეკანოსიძისა.

ინგლისი
ირლანდია
ბრისტოლი
ლონდონი
ბირმინგემი
ლივერპული
ლონდონი
ბრიუსელი
ანტვერპენი
ამენი
ბოლონი
ბერლინი
ბონი
ფრანკფურტი
ბაზელი
ბერნი
ზურიხი
ბავარია
ავსტრია
ალპები
ბალკანეთი
ბუქარესტი
ბულგარეთი
ბელგრადი
ბუდაპეშტი
ბუქარესტი
ბერლინი
ბრესლავი
ვარშავა
ბალტიკური ზღვა
ბალტიკური ზღვა
ბალტიკური ზღვ